

# ნივერისი

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ნივერის“ ტელეფონი № 227

## „ნივერისი“

გამოვა 1899 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინადა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,  
„ნივერის“ რედაქცია,  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანის ქარვასლა და ბაქაში, სიდაგველას წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, ქალანთა-როვის ქარვასლის პარ-და-პარ.

ტელეფონი № 227.  
საფოსტო ადრესი:  
**ТИФЛИСЬ. Редакция „НИВЕРИ“.**

## ქართული თეატრი

გვირგვინი, 6 დეკემბერს,

ქართულის დრამატულის საზოგადოების არტისტებისაგან **მ. მ. მისისი** და **ბ. გ. მისისი** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

### I

## პირველი ბუზი

კომედ. 3 მოქმედ. თხზ. ვ. ველიჩკოსი, თარგ. ვ. გუნიასი.

### II

## პირველად ახალი პიესა

### გამარჯვებულებს არა სჯიან

კომედ. 2 მოქმედ., თარგ. ანა მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ნ. მისი, კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, გარელი; ბ. ნ. აბაშიძე, მესხი, გუნია, გედევანოვი, სვიმონიძე, ხოსროვი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. რეჟისორი მ. აბაშიძე და ქ. მისი.

სუთმაბათს, 10 დეკემბერს, ბენეფისი ქ. ჩ. ჩერქეზიშვილისა.

## დიდი იაფობა

იაბონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოოთ და ორიგინალ საქონლისა.

იხილვამ: უმეტესად სანუჭებო და მასალათაში მისართმევა და ოსთახების მოსართმევა, სანუჭრო მავიდებისა, კუთხეებს და კედლებების შესამკობად და სხვანი.

### ქვე იხილვამ მრავალგვარი აბრეშუბალოვანი და ფანჯარებისა (თეთრეულებსათვის).

იხილვამ აგრეთვე შიპირილი ხალათები, ჯუბები და სხვა.

დარბაზ-მკაფიავის ქუჩა, ზუბალოვის სასადა, სიკუნაბაის პარ-და-პარ.

## იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.

(3—5.—1)

ბირეული კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარიანისა (კუკიაში, ვორნეცკის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დიდობათ:

ბ. ა. ნავასარიანი, 11—12 საათ. საღმრთაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩაქვაძე, 9—10 საათ. სნეულენიანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. პანასიანი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. თ. პრატასკევიჩი—12—1 საათ. უკრის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ბ. ბ. კარაბეგიაძე. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გუგუაძე. 1 1/4—2 1/4 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოაბოთ:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ს. ნ. შაქოკისკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარიანი—6 1/2—7 საათ.

ტ. ა. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და რეპრაციებისათვის—მორიგებით.

დაიქვეყნა სამკურნალო დაქვითვა მედიცინის ნავასარიანის.

Первая частная лечебница Д-ра Навасариана.

Тифлиси, противъ памяти. Воронцову.

(7)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცნობებს ვერისა, მთაწმინდისა და სოლოლაკის მცხოვრებელთ, რომ ხუთშაბათს და პარასკევს, 3 და 4 ამა დეკემბერს, წყლის ონკანიდან წყლის ძლევა მოიხსნება საღამოს 7 საათიდან დილის 8 საათამდე, რადგანაც ამ დროს წყლის მილებს ადგილი უნდა გამოუცვალონ, ამიტომ ამ დროსთვის მცხოვრებელთ წინ დაწინავე თადარიგი დაიჭირონ და საჭირო წყალი წაიღონ. დღისით კი ჩვეულებრივ შეიძლება წყლის აღება.

(2—5.—2)

### კვილის ექიმი

#### ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დან 2-მდე და ნაშუადღევს 5-დან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—1)

#### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქნა ილდირას სამაზრო საზინის ბუჭალტერა ჩინჩალოძე—კრეწას საგუბერნიის საზინის უმცროს ბუჭალტერად.

### ახალი ამბავი

დღეს, 4 დეკემბერს, ნავთლულის წმ. ბარბარეს ეკლესიაში, ამ ეკლესიის დღეობას, მწირველი ბაძანდება მისი მალალ ყოველდღესამდე დღელოვსობა საქართველოს ექსარხოის ფლობანი.

კავკასიის მთავარ მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა და იმისმა მეუღლემ ქ. მ. თ. გოლიცინსამ შესწირეს 100 მანეთი ამაღლების ეკლესიის სასარგებლოად.

გუმინ, 3 დეკემბერს, ბ-მა ა. ევანგელოვმა, იმ კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ტფილისში არხების გაყვანის შესახებ პროექტის შედგენა, წარუდგინა ქალაქის მოურავს მოხსენება, რომელიც საბჭომ უნდა განიხილოს. არხები გაკეთებული უნდა იყოს სახლის პატრონების ხარჯით; არხების გაყვანას თვალყური ადევნოს თვით ქალაქის გამგეობამ. არხები რომ გაკეთდება, მერე თვალყურის გდებას ქალაქის გამგეობა იკისრებს და სახლის პატრონები განთავისუფლებულნი იქნებიან ყოველსავე ხარჯისაგან. არხების გასაკეთებლად საჭირო ხარჯს განაწილებენ სახლის პატრონებს შორის იმის მიხედვით, რამდენი ადგილი უჭირავს სახლს.

პირველ საკვირაო სკოლის დამაარსებელთ განზრახვა აქვთ მთავრობას ნება რთვა სთხოვონ ამ სკოლისათვის საჭირო ფულის შესაკრებად შემოწირულებათა ხელის მოწერა გამართონ და სკოლას სახელად უწოდონ პუშკინის სკოლა. შენობა ამ სკოლისათვის 7—8 ოთახიანი უნდა იყოს. შენობისათვის საჭირო ადგილი უნდა შეიძინონ ქალაქის ან მეცხრე ან მეათე ნაწილში, რადგანაც აქ სკოლას უფრო მეტი მოსწავლე ეყოლება.

ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსებს საყოველთაო მიწერილობა, რომელშიაც ურჩევს მათ დიდი ყურადღება მიუქციონ საქონლის ქირის წინააღმდეგ ბძოლის საქმეს. მაზრის უფროსთ დავალებული აქვთ თვალყური ადევნონ, რომ ყველა მაზრის ბოქაულებმა ყოველი ღონე იხმარონ საქონლის ქირის წინააღმდეგ საბრძოლველად და საზოგადოდ მეტი მეცადინეობა და უნარი გამოიჩინონ ამ საქმეში.

დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, მოხდება კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი საზოგადოების წევრთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: მიმდინარე საქმეები, ტფილისის საბაღოს სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა მომავლის წლისათვის, ხარჯთ-აღრიცხვაზე გაუგზავნილი კავკასიის სასოფლო მეურნეობისა. ამავე კრებაზედ გამოსცდიან ახალს სებატაროს „კორონას“.

პირველ დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა კასან-ალი-ოლის საქმე, რომელსაც მკვლელობა ჰპარდებოდა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვეკილი ბ-ნი კოროლკოვი, რომელიც იმდენად მოვრალი იყო, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ საჭიროდ სცნო საქმის განხილვა სხვა დღისათვის გადაეღო. ბნ კოროლკოვის ასეთის საქციელის გამო ნაფიცი ვეკილებმა ტურკვიჩმა, ჩემესოვმა, გ. და ის. ტერ-სტეფანოვებმა, პახომოვმა, პ. და კ. კალანთაროვებმა, როსტოვმა და პ. ყარაბეგოვმა მიჰმართეს ტფილისის ოლქის სასამართლო სთან არსებულ ნაფიცი ვეკილთა კა-

ბინეტის გამგეს და სთხოვეს მოიწვიოს 6 დეკემბრისთვის ყველა ნაფიცი ვეკილი ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად. გამგემ ეს თხოვნა შეიწყნარა.

როგორც ამას წინადა ვწერდით საბაღოს საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დაარსოს განყოფილებასთან თესლეულობისა და სამეურნეო იარაღის საწყობი და ბიურო. ესლა განყოფილება შუამდგომლობს, — ნება მიეცეს საწყობი და ბიურო ამ დეკემბერში გახსნას და დაიწყოს მოქმედება.

რედაქციამ მიიღო მეოთხე ნომერი: „Ежемесячный бюллетень Тифл. Физич. обсерватории“—სა.

25 ნომბერს ოდესაში ადგილობრივ უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გამართულ იქნა ქართული საღამო. როგორც გაზეთები იუწყებიან, საღამოს ბევრი ხალხი დასწრებია და მხიარულად ჩაუვლია. სამუსიკო განყოფილებაში მონაწილეობა მიუღიათ ქ-ნთ სიბერის, სალამატინას და ბიბერს; ბ-ნთ სამარკოს, დადის, ბალანჩივადის, ნანობაშვილს, ცენოვსკის და სტუდენტთაგან შემდგარ ხოროს.

როგორც „ახ. მიმ.“-ა იუწყება, კავკასიის მთავარ მართებლის თანამეწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრებე პეტერბურგიდან ტფილისის მომავლის წლის იანვრის ნახევარში დაბრუნდება.

ქუთაისიდან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გადაღებულ იქნას 7,000 მანეთი ლაჯანურის გზის დასამთავრებლად.

„სტ. ფურ.“-ი იუწყება, რომ დუშეთის მაზრის უფროსი ი. ი. ჩეხიჯკი თანამდებობას თავს ანებებს.

ქუთაისი. წარსულს კვირაში სცენის მოყვარეთა მიერ რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ წარმოდგენა გაიმართა აქაურ თეატრში. წარმოდგენის კომედია „Столичный гость“. ეს კომედია მარტივის შინაარსისა და რამდენიმე უფერულიც. წარმოდგენამ უფერულად ჩაიარა. მოთამაშეთა შორის აა უშვადათარა ქნ ვლადიმეროვისას და ბ-ნთ ფილიპოვის და სლავისის. წარმოდგენის გათავების შემდეგ ბ-ნ ვ. ბალანჩივადის მიერ დადგმულ იქნა ცოცხალი სურათები, რაც ძლიერ მოეწონა საზოგადოებას.

ბ-ნ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გერშელმანის განკარგულებით აქაც შეუდგნენ ქუჩებისა და კარ-მიდამოების დასუფთავებას. შა-

ბინეტის გამგეს და სთხოვეს მოიწვიოს 6 დეკემბრისთვის ყველა ნაფიცი ვეკილი ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად. გამგემ ეს თხოვნა შეიწყნარა.

როგორც ამას წინადა ვწერდით საბაღოს საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დაარსოს განყოფილებასთან თესლეულობისა და სამეურნეო იარაღის საწყობი და ბიურო. ესლა განყოფილება შუამდგომლობს, — ნება მიეცეს საწყობი და ბიურო ამ დეკემბერში გახსნას და დაიწყოს მოქმედება.

რედაქციამ მიიღო მეოთხე ნომერი: „Ежемесячный бюллетень Тифл. Физич. обсерватории“—სა.

25 ნომბერს ოდესაში ადგილობრივ უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გამართულ იქნა ქართული საღამო. როგორც გაზეთები იუწყებიან, საღამოს ბევრი ხალხი დასწრებია და მხიარულად ჩაუვლია. სამუსიკო განყოფილებაში მონაწილეობა მიუღიათ ქ-ნთ სიბერის, სალამატინას და ბიბერს; ბ-ნთ სამარკოს, დადის, ბალანჩივადის, ნანობაშვილს, ცენოვსკის და სტუდენტთაგან შემდგარ ხოროს.

როგორც „ახ. მიმ.“-ა იუწყება, კავკასიის მთავარ მართებლის თანამეწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრებე პეტერბურგიდან ტფილისის მომავლის წლის იანვრის ნახევარში დაბრუნდება.

ქუთაისიდან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გადაღებულ იქნას 7,000 მანეთი ლაჯანურის გზის დასამთავრებლად.

„სტ. ფურ.“-ი იუწყება, რომ დუშეთის მაზრის უფროსი ი. ი. ჩეხიჯკი თანამდებობას თავს ანებებს.

ქუთაისი. წარსულს კვირაში სცენის მოყვარეთა მიერ რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ წარმოდგენა გაიმართა აქაურ თეატრში. წარმოდგენის კომედია „Столичный гость“. ეს კომედია მარტივის შინაარსისა და რამდენიმე უფერულიც. წარმოდგენამ უფერულად ჩაიარა. მოთამაშეთა შორის აა უშვადათარა ქნ ვლადიმეროვისას და ბ-ნთ ფილიპოვის და სლავისის. წარმოდგენის გათავების შემდეგ ბ-ნ ვ. ბალანჩივადის მიერ დადგმულ იქნა ცოცხალი სურათები, რაც ძლიერ მოეწონა საზოგადოებას.

ბ-ნ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გერშელმანის განკარგულებით აქაც შეუდგნენ ქუჩებისა და კარ-მიდამოების დასუფთავებას. შა-

ვის ქირის შიშმა კარგი სარგებლო-  
ბა მოგვიტანა: ვინ იცის, იქნება ამ  
შიშის გამო სრულიად გასუფთავდეს  
ქუთაისი.

ქუთაისში ერთობ ნაკლებად არის  
ქუჩებში საფოსტო ყუთები წერტილ-  
ბისათვის. არ არის ისეთს ადგილ-  
საც-კი, როგორც გვეგუთის ქუჩა,  
და სხვა ქუჩების შესახებ რალა ით-  
ქმის.

\* \* 28 ნოემბერს დანიშნული იყო  
საჯარო ვაჭრობა სასაქონლო სათა-  
ვად-სახურთა ბანკის განყოფილებაში  
დაგირავებულ ზოგადი მამულების,  
მაგრამ ამ დღეს ვერც ერთი მამული  
ვერც გაიყიდა. ამის გამო საჯარო ვაჭ-  
რობა შეწყდა მოსდება. საყურადღებო  
ის არის, რომ ერთს მამულზე, რომე-  
ლიც იქნება, დასწრებით გარდასა-  
ხადი არის მოლოდინ მანეთი 2 95 კ.

\* \* როგორც „ტფ. ფ.“-ი იუწყება  
ამ სასაქონლო ვაჭრობაში ჩამოკა-  
ნებული ვაჭრის „სამრეწველო მი-  
მოსახლეობის“ რედაქციის მიერ გამოცე-  
ნილი ყურახსილსტი ჩარღვს ოკერი,  
რომელსაც დაკავებული აქვს აღწეროს  
ნათესა წარმოების საქმე ბაქოს, გრა-  
ხნასა და პეტროპოლისში.

\* \* 2 დეკემბერს, ღამე, პოლიციამ შეი-  
პყრო ბორჩალოს მხარის მცხოვრებელი მი-  
ხეილ გონივი, რომელმაც ამა წლის 28  
სექტემბერს ქალაქის მე-7 ნაწილში მოკლა  
ტფილისის მოქალაქე იოსებ ტარალოვი.  
გონივი დაპატიმრებულ იქნა.

\* \* 2 დეკემბერს, სტეპანოვს ტიჩინა გა-  
მოაცხადა პოლიციაში, რომ ნოემბრის უკა-  
ნასკნელ რიცხვებში ჩემის ოთახიდან ვილა-  
ცამ ოქროს ჯვარი მოპარა. ამის მძე  
ტიჩინა თავის მოსამხატვრებზედ იასონ ჯა-  
ფარიძესა და პოლიციის უფროსს მიიტანა. პო-  
ლიციამ ეს უკანასკნელი შეიპყრო.

\* \* მკითხველებს ესსომებათ უთუოდ  
მკურნალის ბ-ნ ფონიორტელის ამბავი, რო-  
მელმაც ამას წინა დ პოლიციის გამოუყენებდა,  
ვერახედ ვიყავი ორის ახალგაზდა ქალითა

და ჩემის ლაქითა, სამა კაცმა თვით  
დღეში დაგვატოვა, მაგრამ გზაზედ და-  
მცნენ და გამჭურდესო. ენლა, როგორც  
„ტფ. ფ.“-ი იუწყება, ამ უსწაურის საქმის  
გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა მო-  
ხელს თავ. აღ. ბებუთოვს.

\* \* როგორც სამკურნალო-სასანიტარო  
ინსპექტორის ცნობებიდანა სჩანს, პირველ  
ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე ტფილი-  
სში გადამდების სენით ავად გამხდარა:  
ყვავილით—179 კაცი, ქალი და ბავშვი;  
ქუთაისში—14, ჩუტ ყვავილით—4, სა-  
ოფლოთი—6, ხუნავით—10, ყვინა-ხელო-  
თი—2, წითლოთი—4, შავი სახადით—1.

\* \* „ახ. მიმ.“-ს სწერენ ქ. სოხუმიდან:  
24 ნოემბერს ერთმა მეგრულმა ქალაქში  
ურმით შეშა მოიტანა. როდესაც საღამო  
ხანა შეშა გაჰყიდა და ურემი დაკლა, ხა-  
რებს რაღაც მოუხვეწრება დაეცო. მეგ-  
რული წინ დაუდგა ხარებს, მაგრამ ამ  
დროს ამ უკანასკნელთ გაიწიეს, საწყალი  
კაცი ქვეშ მოიტანეს და ფეხებით გათლეს.  
დასისხლიანებულ და დაშვებულ კაცის  
საშველად რამდენსავე ექიმთან აფრინეს კა-  
ცი, მაგრამ არც ერთმა ექიმმა საჭიროდ  
არ სცნო მოჭველებოდა დაშვებულს. მიე-  
ლი ერთი საათი მეგრული ქუჩაში ვგლო,  
მაგრამ ექიმი-კი არსადა სჩანდა. ზოგს ექიმს  
ეძინა და გადვიძება ვერ გაეხედნათ, ზოგი კი დევ  
სხვაგან მიეშურებოდა და ასე საწყალის მეგ-  
რელის მშველელი არავინ აღმოჩნდა. ბო-  
ლოს როგორც იყო საავადმყოფოში წაი-  
ყვანეს.

### დაბატ სოფელი

(მოწერილი ამბავი)  
ს. მალრანდი, (თელავის მხარე). მა-  
ღრანის შატავა სოფელია—სულ 3 მ  
კომლადის ადამი. უწინ თავად-სახურ-  
ება ბლომად უფიცილან აქ, მაგრამ შე-  
უფერებელ ჭაყის გამო მომეტებულნი  
ამაწვეტილან.  
მადრანელი სახლი ძალიან შეძლებუ-  
ლია. აქაურს მიწას, გაზის გარდა, შვე-  
დაფერი ბლომად მოჭაყვს. გლეხი კარბ  
იმდენად არის შეძლებული, რომ სო-

გაერთო 200 დაქვინაზედ მეტი სა-  
კუთრება მამული აქვს. გლეხებს ამის  
თანა და ამოდან მშენებარად მოწყო-  
ბალია სახლები აქვთ, რომ ზოგაერთ  
სსვს სოფლის კეთილშობილებსაც კი  
გააკვირებს. მაგრამ, სამწუხაროდ, აქა-  
ური სახლი, როგორც მოწვეტილი და  
დაშორებული სახარო ქადაქს, მოკლე-  
ბული სწავლა-განათლებს და გონიერ  
კაცთაგან წისიერს დაიბეჭდეს, ერთობ  
გაუთლებია და ბუკრს ისეთს დასწრებას  
მოკლებული, რომელიც კაცის სული-  
ერს სიმდიდრეს შეადგენს.

აქაურმა მემულებმა კ. ნათალიშვილმა  
განგებულ ერთი შეკვრისადი ხატი,  
რომელზედაც შედეგი ზედაწერაა მე-  
XVIII საუკუნისა:

„ქ. რათამა სურვილისაგან და ყოვ-  
ლად გამოუთქმელისა მექმნას გონება ჩემი  
შენდა მიმართ შემიწირვლად მთურვლად  
მკობისა ყოვლად წმინდისა სულისაგან სა-  
შინელისა და საღმრთისა საკურთხევისა გამ-  
გეობითა მალალოთა საიდუმლოთა ყოვლად  
სამღვდელოთა მალალოთა მიერ მესაიდუმლო-  
თა ყოვლად საკვირველო მღვდელობისა გვირ-  
გინო და მოძღვრებისა საუნჯეო მღვდელთ  
მთავრო მამო ღირსო ნიკოლოზ შევაძე-  
ვით ხატი შენი დიდებული ჩვენ ანას დე-  
დედოლისაგან ვაზრდილმან მათ უკან თამარ  
დედოლისაგან კეთილად აღზრდილმან მრ-  
ველ გვარად თვადანდებთ ნამსახურმან ყოველს  
უცხოთ ქვეყანას მყოფს საქმს გაჭირვებაში  
თან ნახლებმან და ჭირნახებულმან და სამა-  
ხურის მაგიერად მათგან ჩემთვის უღირსად  
გაკეთებულმა და გადიდაცხებულმან მეფის  
თემურაზის მეითარმან და დედოფლის ფა-  
რეშთ ხუცესმან ნათალის შევილმან თვით  
ნათალმან თანამეცხედრემან ჩემან გიორგი  
ჩრქეხის ქალმა როდამ შემოვსწირედ და  
ოვეტდეთ პატიოსანი სახე შენი ოვს მე-  
ფე თემურაზს ყანდარს ბრძანდებოდა ძნელად  
საქმის გაჭირვებაში მაშინ აღთქმა ვყავ და  
ვისხევილი ძალით შენითა რაჟამს დადისტან-  
ში მეორედ მიუწოდა ყანმან მეფისა და  
დედოფლისა გაჭირვებაში მაშინ თან ვახლ-  
დი და შემოპყრა სნეულეზამან ძნელმან და  
სნეულეზასა შინა აღვასრულე აღთქმა შენი  
სულისა ჩვენისა სახსრად შეილთა და შეი-  
ლისა შეილთა ჩემთა აღსაზრდილად აღვ-

რულდი და განვედი ამიერ სოფ(ე)ლით  
თვესა ნოემბერსა ჩნს უკეთუ ნაცვლად მი-  
ლო მადლი შენი დღესა მას დიდსა განკი-  
თხვისასა ქაქულ ქრისტეს აქეთ ათას შვი-  
დას ორმოც-და-ერთსა დღესა“.

### რუსეთი

გაზ. „P. J.“-ის სიტყვით, სასუ-  
ლიერო უწყებამ განკარგულება მო-  
ახდინა, — მეტი ყურადღება მიექცეს  
სამრცლო საეკლესიო სკოლებთან  
არსებულ წიგნთ საცავებს და აგრე-  
თვე დაარსებულ იქმნას სხვა ახალი  
წიგნთ საცავები.

— როგორც სახელმწიფო კანტ-  
როლის ანგარიშიდანა სჩანს, წარ-  
სულ წელში სახელმწიფო ტყეები-  
დან შემოსავალი ყოფილა სულ  
37,708,948 მანეთი.

— ამას წინად დღეებში ამბავი მო-  
იტანა, რომ მოსკოვი-ვიეგორენე-  
ის რკინის გზის ვინიკოვის სადგუ-  
რის მახლობლად ჰნახეს სარზედ ჩა-  
მოცმული ვიღაც დედაკაციო. რო-  
გორც ესა დღეებში იუწყება, ეს  
დედაკაცი მოხელედ ნამყოფის ვოლ-  
დიკის ქვრივი ყოფილა. გამოურ-  
კვევით, რომ ეს დედაკაცი ჯერ  
ხლოროფრით მოუწამლათ და შე-  
მდეგ ხეზედ ჩამოუცვიათ.

— სატახტო ქალაქის გაზეთები  
იუწყებიან, რომ ზღვათა სამინისტ-  
როს აზრად აქეთ დააარსოს შორე-  
ულ აღმოსავლეთ ერთ-ერთს ქალაქში  
(რუსეთისაში) საზღვაოსნო სასწავლე-  
ბელი. ამ სასწავლებელში, სხვათა  
შორის, აღმოსავლეთ ენებსაც ასწა-  
ვლიან.

### საზრანბითი

ინგლისის კლმას,  
მონსონის მიერ წარმოთქმული სიტყვა,  
ინგლისის საკატრა ზადატის 25 წლის  
შესრულების დღეს პარაჟში, კადეკ სა-  
დაზარალო საგანს შეადგენს პოლიტი-  
კურს წრებსა და უწრად-გაზეთობაში.  
ყველანი ამას ამბობენ, რომ ინგლისის  
კლმას დაადგია პოლიტიკურ მოღვაწე-  
თა ჩვეულება და უწრადელობა ჩაიდი-  
ნაო. ის უწრად მოიქცა საფრანგეთის  
მთავრობის შესახებ, რომელთანაც, მი-  
სის მთავრობის მინდობილებისამებრ,  
კეთილგანწყობილებას უნდა ეცადო. ო-  
ფიციალურ გაზ. „Liberté“-ს ში-  
ნარსი ჩვენ უკვე გეტყვანდა. მოყვანალი.  
ესა სხვა გაზეთებშიც ბანი მისცეს  
მას და ზოგამ კადეკც გადასტარა.  
„autorite“-ს რედაქტორი, ცნობილი  
პოლ დე-გასანაიკი უჩვენებს მთავრობას  
— გეტყვანის დაუხლოვე საფრანგეთი,  
რათა საზოგადო ტერეს—ინგლისს—  
ერთად გაეკვლევათ. დიპლომატიურს  
წრებში-კი იმ აზრისანი არის, რომ  
იმის შემდეგ, რაც ოფიციალურმა გა-  
ზეთებმა დღე დააყენეს მონსონს, სა-  
ფრანგეთის მთავრობა ამ აზრს სასამრ-  
გნო შემთხვევას მეტს უურადებს  
აღარ მიატყვისო.

კრძანულ დასის რამდენიმე წარმო-  
მადგენელს 26 ნოემბერს დაზარატი  
ჭქინათ გაკრე საქმეთა მინისტრ დელ-  
კასისთან მონსონის სიტყვის გამო.

— როგორც უკვე ვიცით, საგან-  
ციო ზადატის განკარგულებით შავარას  
განსამართლება შეჩერებულია როგორც  
სამსჯდრო წესით, ისე სამოქალაქოთა.  
ამასთანავე ყველა საბუთის ქალაქები  
შავარას შესახებ სამსჯდრო სასამართ-  
ლომ საგანსციო ზადატის უნდა წარუ-  
დგინოს. ყოველივე ეს მოსდა შავარას  
თსოვნის შემდეგ საგანსციო სასამართ-

### ფელეტონი

ფილია ადგილი.  
(სვეტიცხოვლის განახლების გამო).  
(დასასრული\*)

1213 წ., იანვარს, მცხეთაში იმ-  
დენი ხალხი შეყრილა, რომ მგზავრს  
უძნელდება სიარული სივწროვისა-  
გან. დიდი და პატარა, გლეხი და თა-  
ვადი შავად შემოსილია. დაღვრეში-  
ლია ყველა. მრავალნი ტირიან.  
დღეც ცისანგიათა; მზეც ისე იტყი-  
ტება, თითქო მასაც ებრალება ამო-  
დენა ერი და იგიც ტირისო. აგერ  
ტფილისის ეზრიდან გამოჩნდა დი-  
დი ლაშქარი და ერი. მათ მოაქვთ  
ძვირფასი კუბო, რომელშიაც ასვე-  
ნია „მზე ქართველებისა“. მოდიან  
წყნარად. ერს წინ მოუძღვის სამღვ-  
დლო დასი, მგალობლები და კათა-  
ლიკოსი ნიკოლოზ. მცხეთის მხარეს  
მდგომარე ერში ისმის ქვითინი. ზოგს  
გული მისდის მწუხარებისაგან, ზო-  
გი ნაცვრს იყრის თავს, ზოგი  
მტვერს. მოკლედ ვსთქვათ: „ხმასა  
თანა ვებისასა ქვესკნელნიცა შეიძ-  
რნეს, ყოველნი ფლასითა ესრეთ  
გვანდა, დალა თუ ჩვენთანა იგლოვს  
ცა და ყოველი სოფელი“. მოასვე-  
ნეს მკვდარი და დაასვენეს სვეტი-  
ცხოველში. მთელმა ერმა ხმა-მად-  
ლა ტირილი დაიწყო.

კუბოს პირი ახლილია. შიგ ასვე-  
\*) იხ. „ივერია“ № 258.

ნია დედაკაცის გვამი. განსვენებულს  
წინანდელი ვარდოვანი ლაწვები და-  
ჭქინობია; თვალნი, „ტბაებრ მზისა  
შემცრომელნი“ გამრუდებია, ხელნი,  
„მსახურებისაგან გლოხკეთასა არაო-  
დეს დაუცხრომილინი“, ვაჭმეშებია,  
ფერხნი, „მარადის ღუთისათვის მაშ-  
ვრალნი“, შეჭდრეკია და ყოველნი  
ნიშანი ცხოვრებისანი შესცვლიან.  
ერი მოდის რიგრიგისად, მუხლს იყ-  
რის კუბოს წინაშე, მდულარე ცრემლს  
აფრქვევს, მკვდარს ავედრებს ღმერთს  
და შორდება. ასრეთი გლოვა და  
ზარი არ სწყდება მცხეთაში რამდენ  
სამე დღეს.

აგერ ლაშქარი შეიძრა. სვეტი-  
ცხოველიდან გამოასვენეს იგივე კუ-  
ბო და წაასვენეს „მოგვისი“ ხიდი-  
საკენ. საით-ღა მისსვენებენ და ვის  
ჰმავხავენ?

— მისსვენებენ გელათს თამარ ნე-  
ტარს, თამარ ბრწყინვალეს მისთა  
მამაპაათა საძვალეში დასაკრძალა-  
ვად.

გაზაფხულია (მე-XII საუკ.). არა-  
გვი საშინლად მოდიდებულა. მოდის  
წყალი ზღვასავით, მოხშუის, არე-  
მარე მოაქვს. მთელიმ ცხეთა გამოსუ-  
ლა გაონავრებულ წყლის საცქერად.  
საღამო ჟამი მოახლოვებულია. ცო-  
ტა ხანიც და მზე ჩავა. ვინ არის ის  
ორი ცხენოსანი, წიწამურის მხრით  
რომ მცხეთისკენ მოეშურებიან? ერ-  
თია კათალიკოსი ნიკოლოზ და მე-

ორე მისი ბიჭი. „მე კახეთით მოვი-  
დოდი და ერთი კაცი თანა მყუნდა  
ცხენისა თანა ღვინისა მიერ დატვი-  
რთულისა“. იარეს ჩქარა და მზე ჩა-  
ვიდა, რომ წყლის მარცხენა ნაპირს  
მოადგენენ. რალა თქმა უნდა, ფონის  
ნასახიც არსად იყო. იქით ნაპირი-  
დგან მთელი ხალხი ევედრებოდა  
მწყემსთმთავარს არ გაეხედნა გაცო-  
ფებულ მდინარეში შემოსვლა. გარნა  
მან არ უსმინა. პირჯვარი გადისახა,  
თავი შეავედრა სვეტიცხოველს და  
უფლის კვართს და ცხენი შეავდო  
წყალში და უვენებლად გავიდა გა-  
ლმა. „არა რაა უწყი, ქეშმარტბა-  
მან ღუთისამან, თუ ვითარ გამო-  
ვედ. ესე ოდენ უწყა მხოლოდ, რო-  
მელ თუალნი და გონება ჩემი სვე-  
ტისა ცხოველისა და ჯუარისა პატი-  
ოსნისა შემსქუალულ იყუნეს; ღმერ-  
თმან მხოლომან უწყის, თუ ვითარ  
გამოვედით, რამეთუ ვერაა რას ვა-  
გრძობდი ვერცა ცურვასა ცხენთა-  
სა, ვერცა სრბასა ფერხივ, მხოლოდ  
ყოველისავე ურვისაგან უღმობელნი  
გამოვედით მშვიდობითა“.

1393 წ. ტფილისი აიღო ლანგ-  
თემურმა, მეფე ბაგრატ დიდი და  
მისი მეუღლე ანა დაატყვევა, ყა-  
რაიას წავიდა სანადიროდ და იქილ-  
გან ქართლისკენ წარმოგზავნა თვი-  
სი ურდო. „შვიდა ეკლესიები, ცი-  
ხეები და შენობები პირქვე დასცი-  
თო. დაარღვიეთ, დაარღვიეთ საფუ-  
ძელამდგო. მსკოვანი, სამღვდელო-

ნი, დედანი და ყრმანი გაუიტიტე  
თო ანუ ტყვედ წაპოყვანეთო. ცე-  
ცხლით დაწვით მთელი ქართლის  
დაბანი, სოფელნი და ქალაქნიო“.

ნი, დედანი და ყრმანი გაუიტიტე  
თო ანუ ტყვედ წაპოყვანეთო. ცე-  
ცხლით დაწვით მთელი ქართლის  
დაბანი, სოფელნი და ქალაქნიო“.

ყვიციანი, დაბრეცილ თვალბიანი  
და გამხეცებული თათრები შემოე-  
სივნენ მცხეთას. აქა ჰხოცავენ მო-  
ხუცებულებს, იქა ჰტლენენ ყრმებს  
ანუ აუბატურებენ ქალწულებს.  
ზოგი ანგრევს სახლს, ზოგი ცეცხლებს  
უკიდებს. ერთი დასტა მიერეგება  
საქონელს, სხვებს აღიიათ წერაქვე-  
ბი, გრდემლები და ანგრევენ სხვეტი-  
ცხოველს. ისმის ყრიაშული, გოდება,  
ყვირილი, კაჟვა, ცემა, ტყება; ინ-  
გრევა საყდრები, ილევება ყოველი  
შენობა. „ბილწითა კელითა (ლანგ-  
თემურმა) კელჰყო დარღვევად და  
მოაკრებად სვეტიცხოველისა, ში-  
ნაგან და გარეთ, ზღუდენი და  
პალატანი, და ყოველნივე შენობა-  
ნი სულიად იავარყვეს სპათა ლან-  
გთემურისათა, წარიღო ლანგთემურ-  
მა სულიად პატიოსანი სამკაული და  
შემკობილობანი, ქურქულნი წმიდისა  
კათოლიკე ეკლესიისანი“.

მეფობაა აღექსანდრესი (1413—  
1442 წ.). ვინ არის ის ახოვანი დე-  
დაკაცი, რომელიც მუშებს თავს  
ადგა და ასუფთავებინებს სვეტიცხო-  
ვლის ნანგრევებს? იგია რუსა, ქუც-  
ნა ამირჯიბის მეუღლე და ბებია  
და აღმზრდელი აღექსანდრე მეფისა.  
ამ რუსამ იწყო მრავლის დეაწლი-

თა და გულს მოდგინებოთ აღშენე-  
ბად წმიდისა სვეტიცხოვლისა; პირ-  
ველად გამოკახმა და იწყო შენებად  
სვეტთა საყდრისათა, და ვერღარა  
სრულყო აღშენება მისი, ეგრეთ  
მიიცივალა ამიერ სოფლით“. ამის  
შემდეგ ტაძრის აგებას შეუდგა თვით  
მეფე აღექსანდრე და რადგან ასაშე-  
ნებელი ბევრი იყო, მთელს სამეფოს  
გააწერა ეგრედ წოდებული „საშე-  
ნებელი ხარკი“. ყოველს კომლს  
უნდა გადაეხადა 50 თური(=2 მან.  
და 50 კაპიკი). ამ ხარკს ყოველი  
ქართველი ღიდის ხალისით ხდილო-  
ბდა ვიდრე 1440 წლამდე და ამ  
წელს მეფემ დაასრულა ყოველი  
საქმე და ხარკიც ამოკვეთა. „ოც-  
და-ათისისა წლისამან იწყო აღშენებად  
სვეტიცხოველისა და აწ სახად აღ-  
შენა და განაგრეო და განასრულა და  
ყოველითა მოკაზმულობათა შეამკო და  
განაშენა და დაადგინა პატარაქად  
მიჭაგელ და მრავალნი წმიდანი და  
პატარასანი მონასტრნი, მკვდელ-  
ნი, მკვალბელნი და მოწყენი შეე-  
რბნა, და რომელნიცა კვლავაგან  
გარბეული შესავალი ჭქონდა, გინა  
გარბეულნი აღაზნა და სსკანა საკე-  
ლეისო საკმარნი ანუ ქვეყანის ჭქონდას  
მას ზედა მრავალი შეუმატა და უფრო-  
სად განაგრეკლა.“  
1513 წ. მცხეთის სვეტიცხოველ-  
ში ასაფლავებენ მეფეს. იგია ავგი-  
ორგი, მეფე კახეთისა და გამოხრე-  
ბელი ქართლისა.  
მუხრან ბატონი ბაგრატ გამაგრე-



ლას მიმართ. შავარს შიშველად არ უნდადს თურმე ასეთის თხოვნის მარ- თმეკა სასამართლოსათვის. ის მოწადი- ნებულები იყო, რაც შეიძლება, ადრე გა- მსართლოს სამხედრო სასამართლო- მათ, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, დაუთანხმა თავისას ექვლის ლაბორის რჩევას, რომელსაც ის ყველაზე უფ- რად უნდადს თურმე.

— გერმანელი დეკლარაცი, რომელსაც დივიზიის უფროსობა ეხება ტუნისში ამ დროს, როცა შავარს იყო იქ გაზ- ხანდალი, სავსაყრდენი დაუბა- რებას სწავლების ჩამოსართმევად.

იტალია. იტალიის პარლამენტის კომისიაში, რომელშიც გარეშე საქმეთა სარეზოლუციონო უნდა განხილვას, დიდი უთანხმოება ჩამოყარდა მთა- კრობის პროცესის გამო აფრიკის სამ- ფელაქოს, ერთკუთხედიან, სარეზო- მომტების შესახებ. უთანხმოებას მთა- კრობის და კომისიის შიშის, რად- თქმა უნდა, შავარს გადსაწყვეტს. მა- გრამ ამჟამს ქვეყნის (ერთკუთხედი) შესა- სებ პარლამენტის ერთი ახალი წინადა- და უნდა განხილვას, და, ვინ იცის, იქნება კიდევაც შეიწყნაროს. ახ- სავსაყრდენი ახის: ინგლის-იტალიის ამხა- ნაგობა შესვლა, რომელსაც ახრად- აქვს ერთკუთხედიანი ახლოს რამდენ- ნიშნით და თავისის ხარჯით და- მუშაოს.

ოსმალეთი. როგორც კონსტან- ტინოპოლიდან იწყებან, ოსმალეთი რისე-სიმამრებს აშენებს თურმე თეს- ლის სასწავლებელს. განსაკუთრებულა უფრადებით სწავლებას ამგვარებ ოს- მალეთი. ამჟამ დროს დიდი უფრადებას ამქვეყნული ტყუილს გაუმჯობესობასა და გაუმჯობესებ მთებში.

ამერიკა. სსკა ქვეყნებში ხალხს ამის ზრუნვაშია, რომ, რაც შეიძლება

ბულა მტკვრის ციხეში. ავგიორგი ყოვლის თავის ჯარით მოადგება ამ ციხეს და უნდა აიღოს. სამის თვის განმავლობაში იგი ამაოდ სცდილობს ბაგრატის შეპყრობას. მერე საღვინო ღვინოს უგზავნის ბაგრატს და ასრე უთვლის: „ამდენი ხანი მაგ ციხეში შემწყვდეული ხარ და მეფის ძეს არ შეშენის უღვინოდ დაშენა, შეი- ძღვენ ეს ღვინო და დალიე, რამეთუ პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“. ბაგრატს ჭაში ორგულ- ლები ჰყვანდა. ღვინის ბაღდად ერ- თი ორგული გაუგზავნა მტერ-მოყ- ვარეს და შეუთვალა: „ამდენი ხანია ქსნის პირზედ დგებარ და ორგულ- ლი ვერ გიგემია. აწ მიირთვი და იცოდე, რომ ციხეს ვერ აიღებ“. ორგული რომ მოართვეს ავ-გიორ- გის, სცნა, ციხეში სანოვადე ბეჭი აქეთა. აიყარა და კახეთისკენ წა- ვიდა. მაგრამ მალე ისევ დაბრუნდა და რბევა დაუწყა ქართლს. ბაგ- რატმა ვა შეუკრა ძალისა და ქა- პურს შუა, დაეცა უგრძობლად, დაამარცხა იგი და შეიპყრა. ბაგრატ- მა შემოისხნა თვისი სარტყელი და მხარები შეუკრა ავ-გიორგის. ამან იწყინა ესა და თავის ენა-ბრგვნილო- ბით უთხრა: „ვის ეკადრება შეპყრობა და შეკრა მხრისა?“. ბაგრატმა მო- ახსენა: ჯერეთ ესე მოვაწიე შენ- ზედა და აწ გამცნებ, თუ რა მოიწი- ოს შენზედა. ვინ ხარ და რა კაცი ხარ, რეგვინი და ქეჟა მტკრე“. ქე- ვინის მოლაღატე მოაშთვეს, ხოლო

სამფლობელო გავიფრთხოვა, მეტა მა- წაწყალა წაგართვა სხვას; შეუერთებულ შტატებში იგი ეჭურ მკვიდრთა რაოდენიმე ნაწილი წინააღმდეგობა არა მარტო ახა- ლის ადგილების დაჭერისა, არამედ იმის შეერთებისა-ც-გი, რომელიც შვედ დამ- ურს ამერიკამ, მაგალითად ფილიპინ- ბისა. სენატორმა სოლმა ამ დღეებ- ში სიტყვა წარმოსთქვა ნიუიორკში და იმას ამტკიცებდა, რომ ფილიპინ- კუნძულების შემოერთება სარგებლობის სარგებლად დიდს წარადს მოუტანს შტა- ტებს. სოლის სიტყვით, ფილიპინ- კუნძულების დაღებ-მიდევნება იმდენს ვერ შეიძლებს, რომ ჯარა და ფლოტი შეინახოს, რომელიც ამერიკამ იქ უნ- და იყოფიოს. სოლი იმ ახრისა, რომ სენატმა ნება არ უნდა დართოს მთავ- რბას ფილიპინების შემოერთებისა. თავისის მხრე-გი სოლი უნდადეს მთა- კრობის, რომ უოკლადე ღონისძიებას კინძარ ფილიპინების შემოერთების წა- ხანადმდგა.

— შანაშაი არის გამეკან სასოგა- დოების უფროსს დირექტორს წინადა- დას მიუყვანა შეერთებულ შტატებ- სთვის, რომ ეს არსა იყოდეთ სენ- ტან 650 მილიონათ. დირექტორს ამასთანავე შეუთვლია, რომ შტატები თუ არ მიიღებს ამ წინადადებას, არსა მანერ უთუოდ იქნება გაყვანილი და ყველა სახელმწიფოს სამხედრო გეგმა- სთვის დათ, ხოლო გადსახსნას თვი- თუელის გემის გაყვანისთვის იმასე და- ნაკლებს დაგწყებთ, რასაც ნიკარაგუას არსა აიღებს.

— ნიუ იორკის სავაჭრო შავარსის ოსოგან მიუერთებია შავარსდენტ მკე- კანაღისთვის. შავარს თხოულობს, გა- შინტონში მიწვეულ იქნას საერთა- შორისო კონგრესი იმას დასადგენად, რომ ომისაბის დროს კერძო ტრთა- ქონებას ნუ შეეკებან მეომარი სასელ- მწიფონი. შავარსდენტა დიდის თანა- გრძობით მიჭეგებია თხოვნას და ლუ-

მისი გვამი-კი, როგორც ნაყოფი მე- ფეთა, დაკრძალეს ბაგრატიონთა სა- ძვალეში (სვეტიცხოველში).

მცხეთის სვეტიცხოველში დახო- ქილან ტყვენი კახელები. ქართლ- ელები, რომელთა სოფლებს იგნი იკლებდნენ, ასრე აფიცებენ მათ: „ღმერთმან, სამართლის მოქმედმან კახს კაცს ნურადღეს ნუ გაუშარ- ჯოსო ქართველს კაცს ზედაო, არცა დიდთა და არცა მცირედთაო!“

1745 წ. 30 ენკენისთვის მცხეთა საესეა ხალხით. ხვალ სვეტიცხო- ვლობა და მეფე თეიმურაზმა უნდა იკურთხოს გვირგვინი. აქვე არიან მეფე ერეკლე, დედოფლები, ბატონი- შვილი, დიდი ლაშქარი, მრავალი სუ- ლთენი და მთავრები. ანტონ კათა- ლიკოს წერილთაგან გამოუკვლევია წესი მეფეთა კურთხევისა. თეიმუ- რაზისთვის სადგური მომზადებულა კლდის ცხვირზედ არაგვის ნაპირას ანტიოქიის საყდრის შენობაში. აგერ თეიმურაზი დაბრძანდა სევანს და მის აქეთ-იქით დადგენ დარბაისელ- ნი. მოიტანეს პორფირი, ბისონი, დიადიმა, გვირგვინი, ხმალი, სკიპ- ტრა და ქვეყნის სფერო. ყოველივე ეს ამიერ და იმიერ მოუწყეს მეფეს. მოვიდა მთავარ ეპისკოპოსი არსენ და მთავარ-დიაკონი და წინა უქმედეს. ჯვარის მტკირთველს ჯვარი აღმართა და მაგალობელთა დასნი მას მო- უძლოდნენ და ჯვრის საგალობელს ამ-

თქვამს, რომ კარგად შეეისწავლა ამ საქმესო.

### დამკვირვებელი

განება სასტიკია, გულა სწობაა გონებას.

\*\*\*  
შეშარტავანო, რად ექსტრემ გულითა ბნელს ბედავს, მთავარსა მას ბორა- ტსა. ვით დაგვირუმა, ოთხთა კავშირ- თა ურამს, ხატა მარტვითა უსწულო- თა თვალთ; თანადრეულ სარ, მიწა ხარი, დამდაბლდა!

ნიკოლოზ ტფილელი  
\*\*\*  
ურმათავის სთანადო არს მიცემს სიმის და ახ მტკიცისა საზრდალისა, და ახალწლოვანთავის ახანანი და არა მატკინენ!

### იონა მანახონი

### შურბალ-ბაზმთიბიღბან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს პეტრებურგელს იწყენის გამოუ- გონია ელექტრონის მანქანა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ოთხს ათობს კი- დეც და ანათებს. მანქანა წარმოადგენს ღუმელს, რომელიც ისეა მომართული, რომ როდესაც შიგ ცეცხლი ანთია, ღუმელი ელექტრონის მანქანით გადიტევა, რომე- ლსაც შეუძლიან მთელი ოთახი ელექტრო- ნით გაანათოს. იწყენი ამბობს, რომ ასე- თი ღუმელი 100 მანეთზე მეტი არ ეღირე- ბაო.

\*\*\*  
ურნალ-გაზეთებში შემდეგი ამბავია და- ბეჭდილი, ბისმარკს ერთხელ ესპანიის ელ- მა შეატყობინა, რომ ჩემს მთავრობასა მსურს გიბოთოს ოქროს ვერძის ორდენით. ბისმარკმა განუცხადა, დიდი მადლობელი ვიქმნები, მაგრამ არ მსურს იმ ცერემონიის ასრულება, რომელიც სავალდებულოა ამ ორდენის მიღების დროსაო. მაშინ ესპანიის მთავრობამ ბისმარკს გამოუგზავნა ორდენი, ხოლო ერთის თვის შემდეგ ბისმარკს

ბობდნენ. შემდეგ ამისა მთავარ-ეპისკოპოსმა აიღო მეფის შესამოსელი და იარა- ლი და ტაძარში შეიტანა. მას გა- ლობით მიჰყვენ მგალობელნი. და- რეკეს მწუხრისა. მეფე აბრძანდა და ეკლესიიკენ გაემართა. ამ დროს ჰკრეს ქოსთა სპილენძ-ქურთა. მეფეს მოგებდნენ ეპისკოპოსნი, თაყვანის- ცეს და მერე ლოცვა დაიწყეს. და- სრულდა მწუხრის ლოცვა. მერე იწყეს ღამის თევა.

გათენდა. მოფარდაგეს სეფე და მის წინ აღმართეს ოთხი დროშა. მეფე დაბრძანდა სეფესა შინა. მოვი- დნენ სამღვდელთა დასნი: კარის დეკანოზს ხატი თავს ედვა, ჯვარის მტკირთველს ჯვარი ეპყრა, მთავარ- დიაკონნი აქმედნენ, ღვდელნი მათ მოსდევდნენ ღიდრონის ღამპრებით, მგალობელნი გალობდნენ. მოვიდ- ნენ და მეფეს თაყვანი სცეს. პატ- რიარქის მთავარ დიაკონმა მე- ფეს სიტყვა მოახსენა. მეფეს ეკლესიად წარუძღვნენ სამღვდლო დასნი. ჰკრეს ქოსთა, სპილენძ-ქურთა. ეკლესიის კარბეჭეუნი მეფეს მოგებ- ნენ პატრიარქი, ეპისკოპოსნი და თაყვანი სცეს. მეფე მიიყვანეს და აღსავლის კარის წინ დააყენეს. ყო- ველნი ეპისკოპოსნი ამიერ და იმი- ერ მოუდგნენ. ეგრეთვე სომეხთა და ფრანგთა სამღვდელთა, პატრიარქმა მეფეს ჰკითხა სარწმუნოება და მერე აღთქმის ეპისტოლე წაუკითხა. მერე უკანვე გამოაბრუნეს და ეკლე-

თავისმა მღვიანმა წარუდგინა ესპანიის ელ- ჩის მიერ გამოგზავნილი ანგარიში. თურმე ბისმარკს მთავრობა ორდენის მიღებისათვის 8,000 ფრანკსა სთხოვდა. ბისმარკი ძლიერ გაწყრა და მღვიანს უთხრა შეუთვალეთ ესპანიის ელჩს ჩემ მაგიერად, ბისმარკს რომ სცოდნოდა, ასე ძვირად დაუჯდებოდა ეს ორდენი, უარს იტყოდა ამ ორდენის მიღე- ბაზეო. ელჩმა ეს მოახსენა ესპანიის მეფეს ალფონს მეფორმეტეს, რომელმაც ბრძანება გასცა, ამიერიდან ამ ორდენის მიმღებს ფული აღარ გადაახდებინოთ.

\*\*\*  
გაზეთების სიტყვით, პარიზში, ახლო მომავალში გასასყიდალ გამოვა მუსიკიანი ველოსიპედები. მუსიკის მანქანა მიმაგრებუ- ლია ველოსიპედის სახელურზედ და მოძრა- ბაში მოღის წინა თვლით, მანქანას მთე- ლის სათის განმავლობაში შეუძლიან შე- უწყვეტლად დაუკრას მუსიკა. რეპერტუარში 50 პიესამდე არის.

\*\*\*  
1897 წელს გერმანიაში დასჯილი იყო 463,584 კაცი, ამთ რიცხვში 18 წლის- ზედ ახალგაზდა 45,251. დანაშაულში წი- ნადამდე სახელმწიფოსი, საზოგადო წეს- რიგის დარღვევის და სარწმუნოების მხრივ ბრალი ედებოდათ 82,688 კაცი, — პირადობის წინააღმდეგ 195,759, წინააღმდეგ სა- კუთრებისა 183,805 და სამსახურის აღს- რულების დროს მოვალეობის შეუსრულე- ბლობისა გამო 1,331; წინააღმდეგ წლებთან შედარებით დანაშაულობა პირადობის წი- ნადამდე თვალაჩინოდ იმატა. 1892 წ. ითვლებოდა 157,928, 1894 წ. 181,977, 1897 წ.—195,759. იმატა აგრეთვე დანაშაუ- ლობამ წინააღმდეგს ახელმწიფოსი, საზოგადო წეს-წყობილებისა და სარწმუნოებისა, 1892 წ., 66,392 კ. იყო, ხოლო 1897—82,688; ხოლო დანაშაულობამ საკუთრების წინააღ- მდეგ შედარებით 1892 წ. დაიწია 12,631. 45,251 მცირე წლოვანთაგან ბრალი ედე- ბოდათ 22,544 ქურდობისთვის, 7,537 ცე- მისთვის, 2,852 სხვისი ნივთების გაფუჭე- ბისთვის, 2,111 ყალბობისთვის, 1,170 ხეობრიობის წინააღმდეგ დანაშაულობისა- თვის, 22 მკვლელობისათვის, 175 ცეცხლის გაჩენისათვის და 50 ცრუ ფიცისათვის.

სიის შუაგულს ტახტზე დასვეს. მეფეს გვირდს სელზედ მოუჯდა პატრი- არქი. ტახტის ერთ მხარეს დადვა მთავარ-ეპისკოპოსი და მეორე მხა- რეს ალავერდელი და მათ განსწვრივ ორსავე მხარეს გამწკრივდნენ ექვს- ექვსნი ეპისკოპოსნი და მღვდელნი. მოიტანეს მარტივ ბისონი და ჩააც- ვეს მეფეს. დაიწყეს წირვა. დრო რომ მოვიდა, პატრიარქი წმიდათა წმიდანში შევიდა და მეფეც შეიწვი- ეს და სცხეს საცხებელი, მერე მე- ფეს ჩააცვეს დიადიმა, წამოახსეს პორფირი, დაადგეს სამეფო გვირგვი- ნი, მარჯვენა ხელში მისცეს სკიპტ- რა და მარცხენაში სფერო. შემდეგ პატრიარქმა ახიარა მეფე და გამოი- ყვანა და დასვა ტახტზე. ამირსპასა- ლარმა მას შემოართყა ხმალი. სამ- ღვდელთა დასი გამოვიდა და მე- ფეს ხელზე ემთხვია. მერე ეამბორ- ხნენ ღიდებულნი და სხ.

გათავადა გვირგვინის კურთხევის წესი. მეფე გამოვიდა ტაძრიდან. შე- იქმნა სროლა თოფთა და ზარბაზან- თა, ცემა ქოს-სპილენძ-ქურთა. ერის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. დედოფალმა მიულოცა მეფეს და თავზედ ოქრო და თვალ-მარგალიტი გადააყარა. აგრეთვე მიულოცეს და- ნაშთენ უფლის წულთაც და დარბა- ისელთ. წამობრძანდა მეფე სეფესა შინა დიდებითა და რიგ-წესულობი- თა და დაბრძანდა ტახტსა. მეფემ დი- დი წყალობა გასცა. შეიქმნა მეჯლიში და ღვინი-ღიდნი და მცი-

### გამოსადები ცხობა

შეიძრად უფაიდა ჩვენს გაზეთში ხა- ჩვენები სახსარი კვარტისა გაუფუჭე- ლად დიდხანს შენახვისათვის. ჩინეთში თურმე უფრო უკეთესი წამალი სცოდ- ნათ და ეს წამალი იქ ძალიან გასწი- რებულა. ახ ის წამალი: აიღეთ 1/4 გიარკანქა თეთრი მელი, კარგად დაფხე- ნილი, რომ ფქვილად იქცეს, 15 მის- ხალი სოდა და მცირეოდენი წვენი გლეხისა ლაბისა იქნება, თუ ამის მსგავს მცენარისა. ყველა ეს ერთად კარგად უნდა ახიზლოს ერთ ბოთლს წყალში და დაუმტოთ ძალიან მაკარი წვენი ნადულარ ჩაისა იმდენადმე, რომ კარგა თხელ ფაფასავით იქცეს. მერე შესახანს კვარტსები თანხის განიერ ჭურ- ტელში ჩააწეთ, კვარტსებს გადასხით ზემოხსენებულად გაკეთებულა წვენი. შირი მაგრად მოკარით, რომ ჭავრა არ ჩაუყავს და შეინახეთ. როცა საჭი- რება მოითხოვს, რამდენც გნებავთ კვარტსა ამოიღეთ, გარეცხეთ და კვარ- ტსა ისეთი იქნება, როგორც სხლად დადებულა. ჩინეთში ძალიან უყვართ ისეთი კვარტსი და ამ წამალს ათადამ ბაზადამ ამ გზით იხსივენ. რა თქმა უნდა, ამ გზით ქათმის კვარტსიც კარ- გად შეინახებაო, ამბობს იგი გაზეთი, საიდანაც ეს წამალი ამოგწერეთ.

### ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო წიგნაკი „რისთ- ვის ითვრება ხალხი“—ლ. ტოლს- ტონისა, თარგმნილი განდგეოლის მი- ერ, ხოლო გამოცემული ი. იმედა- შვილის მიერ. ეს წერილი „იფე- რია“-ში იყო დაბეჭდილი. წიგნაკი ღირს 5 კაპ. გამოცემული გვირ- დება, რომ ახლო-მომავალში შემდეგ წიგნებს გამოცემა: „ცხოვრების სარკე“ (პიესების კრებული), „ეკო-

რენი მშადლოდნენ ღმერთსა, რომ მან დანახვა მათ მეფე ცხებული.

\*\*\*  
მცხეთა არის აკვანი ქართველთა მამათ მთავრისა, ხოლო სვეტიცხო- ველი არის დედაბოძი საქართველოს ეკლესიისა, სიმტკიცე ერისა და ქრი- სტიანობისა. იგი სვეტი მოწამეა ქა- რთველთ ღვინისა და ტირილი- საც. ანგრევდნენ მას ქრისტეს მტე- რნი, ხოლო ქრისტეს მოყვარენი და- უყოვნებლივ ისევ აშენებდნენ. უსე- ტოდ ცხოველოდ თვით ქართველთა ცხოვრებაც ცხოველ არ იყო: სვე- ტი იყო და არის კიბე ცხოველი ცად მიმართ. ეს სვეტი არ წაუტე- ვიათ ჩვენს წინაპრებს. ახლა-კი იქ- ცევაო, გვეუბნებიან სარწმუნო კა- ცნი, და ჩვენ-კი გვიძინავს და არცა გვრცხვენინან, რომ თითო ოროლა გროშს ვიშურებთ და ხელს სხვის- კენ ვიწვდით. თუ მე-15 საუკუნეში თითო კომლს შეეძლო 250 კაპ. გა- დახდა, ნუ თუ დღეს არ შეგვიძ- ლიან თუნდა თითო მანათი გადავი- ხადოთ. ვა ჩვენდა, როგორ დავ- ქუცმაცდით და მაშინას დავემოყ- ვრეთ! \*)

მ. ჯანაშვილი  
\*) ამ წერილის ავტორს მცხეთის სვე- ტიცხოველის განსახლებლად შეაქვს თვისი წვლილი—თითო მანათი 12 თვის განმავ- ლობაში.

ნომიური კრიზისები — კ. კაუცკისა, „ჩვენი მგონებები“ (ლექსთა კრებული), „ისტორია აღზრდისა“ და მისი რეფორმები.

# დებემა

3 დეკემბერი

**აბაზაზური.** 2 დეკემბერს მოხდა აბასთუმნიდან გატყინაში დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნებადართო გაზეთ „ნაროდს“ ცალკე ნომრებით გაყიდვისა, რაიც აკრძალულ იქნა 3) ოქტომბრის განკარგულებით.

**მადრიდი.** ფილიპეს კუნძულის მემამბოხეთა უარი სთქვეს დატყვევებულ ესპანელებს არ გავანთავისუფლებთო და 20 მილიონ დოლარს თხოულობენ ტყვეების დასახსნელად.

**ლონდონი.** „Times“-ში დაბეჭდილია წერილი, რომელიც უარყოფს ფრანგულის ჟურნალ-გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმას, რომ ბიულოვმა თავის სიტყვაში სთქვა, — გერმანია წინააღმდეგა ინგლისთან მეგობრობასაო. „Times“ ი ამტკიცებს, რომ ინგლისი კაყოფილია ბიულოვის მიერ წარმოთქმულის სიტყვითაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემ მიერ რწმუნებულს სარაფის (შელოხაველდის) სკოლის ბიბლიოთეკას შემოსწორებს:

I იოსებ ლევა: ცხოვრება ქალ.—მოწ. თეოდოსი, ცხოვრება დ. მ. წმ. ეფსატესი, ცხოვრება სვიმონ მეხვეტესი, ცხოვრება წმ. დ. ქალ.—მოწ. პარასკევასი 4 ცალი წმ. იოანე მოწყალე, ფილოსოფოსი სოკრატე, წმ. დ. მოწ. ეკატერინე., ცხოვრება ქალ.—მოწ. პისტისა, ელპიდისა, ალაპისა და დედისა მათისა სოფლისა, 2 ცალი, ცხოვრება წმ. მოწყალისა ფილარეტისა, ცხოვრება წმ. ღირ. მოწ. თებრონესი, ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.

II გან—მა. ეზობის არაქები, თარგმანი ბ. დავითაშვილისა, 4 ცალი; სამშობლოსთვის თავდადება, გადმოკეთებული ნ. ავალოშვილის მიერ, ცხოვრება წმ. დ. მ. რაუდენ დაქრისისა.

III ი. ჩათავიშვილმა და ბ. დავითაშვილმა: გამბრდელი, პოემა აკაკისა 5 ცალი, ეზობის არაქები 5 ცალი, სილაღმართლე კაცს არ დაჰკარგავს, ბ. დავითაშვილისა, 5 ცალი, ხალხური გამოცანა—ანდაზები, მერკელაძისა, 5 ცალი.

IV წ.—კ. საზოგადოებამ დედა-ენა, იაკ. გოგებაშვილისა 5 ცალი.

V არ. ქუთათელაძემ. „წყარო“ 5 ცალი, მის მიერ შედგენილი.

VI ბაბო ტყავაძისამ: საქართველო და მისი წარსული დრო, ე. პოტოკისი, თარგმანი ი. ბაქრაძისა, როგორ საზრდოობს მკენარე, ს. გ. რუსულიდან, თავდადებულნი ქართველნი, ისტორიულნი მოთხრობანი, იაკ. გოგებაშვილისა, შრომა და კაპიტალი ბ. ს., თარგმანი ე.—ისა, როგორ სცხოვრებდნენ ადამიანები ძველთ, კუდრი-აკისა, თარგმანი ის. კვიციანიისა, ვეფხის ტყაოსანი, მოთხრობით, გ. იოსელიანისა, პარტაზი, ე. ნინოშვილისა, ცა და დედამიწა ალ. ივანოვისა, თარგმანი დ. გიორგობიანიისა, ნაპერწკალი, ალ. იაკ. მირაკ—ს მიერ შედგენილი, სპილენძი, გრ. ტატიშვილისა, საჩუქარი ი. გომელაურისა, იავ-ნანამ რაქნა, იაკ. გოგებაშვილისა, ოქროს მოყვარულები, ცხოველი, თარგმანი ელენე წერეთლისა, კრილოვის არაქები, თარგმანი აკაკისა, სურამის ციხე, დ. კონქაძისა, ჩვენი ქვეყნის რაინდი, ნინოშვილისა, რა არის

ხარკი, თარგმანი ი. გ.—ისა, ეზობის არაქები.

ყველა შემომწირველს უღრმეს მადლობას ვუძღვნი და დარწმუნებული ვარ, სხვანიც მიჰბაძვენ და სარაფის კართვლებსათვის არ დაიშურებენ თითო-ორლა ქართულს წიგნს. შემოწირულება შემდგომადრდებით შეიძლება გამოიგზავნოს: ზავნდვადყოფელს შელკოვადსკიმს Училищемъ Михаилу Александровичу Шатберову. Ст. Шелкозаводскъ Терской области.

მასწავლებელი მ. შატბერაშვილი

## განცხადება

კ ა ვ კ ა ვ უ ი

ქართული წიგნებით ვაჭრობას, მთავრობის ნება-რთვით, ვიწყებ ამ დღიდან. ამიტომ ვთხოვ ქართულ წიგნების გამომცემლებს თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდად დაკლებით არა ნაკლებ 20% ადრესი: Владикавказ, Ивану Семеновичу Месхиу. (5—უ.—1)

დაბეჭდა ბ. ისეიდებს

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მდარსაში ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

открыта подписка на 1899 годъ

## на ежемѣсячный литературно-исторический журналъ „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“

Въ 1899 году „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ будетъ попрежнему неуклонно преслѣдовать поставленную при его основаніи главную задачу—давать общедоступное, разнообразное, литературно-художественное чтеніе, знакомя въ хорошихъ переводахъ съ лучшими, какъ новѣйшими, такъ и классическими произведеніями всѣхъ выдающихся иностранныхъ изящныхъ литературъ. Въ сѣтѣ съ тѣмъ, какъ въ отдѣльныхъ статьяхъ, такъ и въ болѣе краткихъ очеркахъ и замѣткахъ, въ „заграницкой хроникѣ“, состоящей изъ отдѣловъ: 1) Общественная жизнь, 2) Историческія новости, 3) Изъ области науки, 4) Литература и печать, 5) Искусство—театръ, музыка, живопись, и пр. и 6) Смѣсь,—„ВѢСТНИКЪ“, внимательно слѣдя за иностранною жизнью во всѣхъ ея характерныхъ проявленіяхъ, будетъ сообщать обо всемъ новомъ, выдающемся, интересномъ въ заграничной общественной жизни, наукѣ, литературѣ и искусствѣ.

Намѣреаясь дать своимъ подписчикамъ въ видѣ бесплатныхъ приложеній, въ теченіе нѣсколькихъ лѣтъ, серію произведеній классическихъ писателей, иллюстрированныхъ лучшими иностранными художниками, редакція „Вѣстника Иностранной Литературы“ и въ будущемъ году разошлетъ своимъ подписчикамъ при январской книгѣ

### БЕЗПЛАТНОЕ ОТДѢЛЬНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ

первое на русскомъ языкѣ иллюстрированное собраніе сочиненій

### МОЛЬЕРА

съ біографіей, портретами знаменитаго писателя, его жены и дочери, множествомъ копій съ наилучшихъ гравюръ и примѣчаніями.

- 1) Взбалмошный, 2) Любовная досада, 3) Жеманницы, 4) Сганарель или Мнимый рогоносецъ, 5) Школа мужей, 6) Школа женъ, 7) Бракъ по неволѣ, 8) Дон-Жуанъ, 9) Мизантропъ, 10) Докторъ по неволѣ, 11) Тартюфъ, 12) Амфитрионъ, 13) Жоржъ Дандень, 14) Скупой, 15) Господинъ де-Пурсоньякъ, 16) Мѣщанинъ во дворянствѣ, 17) Продѣлки Сяпена, 18) Ученыя женщины и 19) Мнимый больной.

Остальныя пьесы, имѣющія въ настоящее время болѣе историко-литературное значеніе, чѣмъ художественное, будутъ помѣщены въ пересказѣ. Каждая изъ пьесъ будетъ иллюстрирована нѣсколькими копіями съ гравюръ-офортъ двухъ наиболее замѣчательныхъ иллюстраторовъ Мольера—Эдмонда Гедуэна, получившаго во французскомъ „Салонѣ“ 1888 году высшую награду за „Illustrations pour le théâtre de Molière, и Луи Лелуа. Оба художника-иллюстратора соперничаютъ другъ съ другомъ въ изяществѣ и тонкости исполненія, въ умѣнн выбрать для иллюстраціи характерную, интересную сцену, въ вѣрности пониманія и искусствѣ воплощенія Мольеровскихъ типовъ, въ глубокомъ знаніи вѣдшей культуры XVII вѣка. Кромѣ того, будутъ воспроизведены гравюры и другихъ французскихъ иллюстраторовъ Мольера.

Собраніе сочиненій **МОЛЬЕРА** составитъ большой иллюстрированный томъ (около 640 стр.)

Въ январской и послѣдующихъ книгахъ „Вѣстника“ будутъ помѣщены какъ крупнѣйшія новости, такъ, и появившіяся въ послѣдніе годы, но еще неизвѣстныя русскимъ читателямъ, **ТАЛАНГЛИВѢЙШІЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ** французской, нѣмецкой, англійской, италянкой, испанской, польской, датской, Шведской и голландской литературъ.



Кромѣ того, съ особою нумераціею страницъ, въ приложеніи къ „Вѣстнику“ появятся ВПЕТВЫЕ НА РУССКОМЪ ЯЗЫКѢ лучшія новеллы изъ „ГЕПТАМЕРОНА“ французской принцессы Маргариты Наваррской съ иллюстраціями (копіями съ гравюръ) и въ извлеченіи МЕМУАРЫ ЗНАМЕНИТЫХЪ АВАНТЮРИСТОВЪ XVII Вѣка.

„ГЕПТАМЕРОНЪ“—это сборникъ новеллъ, написанныхъ въ духѣ Боккачіо, поэтичныхъ и соединяющихъ занимательность сюжетовъ съ поучительностью и остроуміемъ. Изъ французскихъ подражателей Боккачіо Маргарита Наваррская—наиболѣе извѣстная и талантливая.

„МЕУАРЫ ЗНАМЕНИТЫХЪ АВАНТЮРИСТОВЪ“, заключающія въ себѣ множество цѣнныхъ культурно-историческихъ данныхъ и, давая рѣзко очерченные портреты личностей, имѣвшихъ значеніе въ политикѣ, читаются, какъ увлекательный романъ, полный удивительныхъ необычайныхъ приключеній.

подписная цѣна на 1899 годъ

съ доставкою 5 р безъ доставки 4 р. 50 к. За Собр.соч. „мольера“ въ издан. перепл. прилагается 50к. г. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за поручительствомъ г. казначеевъ и лицъ, завѣдующихъ подпискою.

подписка принимается: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, № 63. магазинъ ПАНТЕЛЕЕВА (прот. Пажескаго Корп.), въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линія, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ редакцію, СПб., Верейская ул., д. № 16, собств. Издатель Г. Θ. Пантелеевъ Редакторъ С. С. Трубачевъ

поступилъ въ отдѣльную продажу

## „ДЕКАМЕРОНЪ“ джіованни боккачіо

Цѣна безъ переплета 2 р., въ изящномъ переплетѣ 2 р. 50 к., пересылка 50 к.

изящные коленкоровые переплеты для иллюстрированнаго изданія **„ДЕКАМЕРОНЪ“** Джіованни Боккачіо Цѣна 50 коп., на пересылку прилагать за 1 фунтъ по разстоянію.

открыта подписка на новые 60 томовъ

собранія сочиненій

## ИЗБРАННЫХЪ ИНОСТРАННЫХЪ ПИСАТЕЛЕЙ

„Собраніе сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей“ будетъ выходить съ 15 Декабря 1898 г. по 5 томовъ въ мѣсяцъ. Изъ этихъ 60 томовъ 12 составятъ собраніе лучшихъ романовъ Виктора Гюго, а 48—дополненіе къ прежней серіи 144 томовъ: въ нихъ будутъ помѣщены произведенія 10 ти нижепоименованныхъ авторовъ, не вошедшія въ 144 тома.

### 12 томовъ романовъ ВИКТОРА ГЮГО

(„Соборъ Парижской Богоматери“, „Послѣдній день приговореннаго къ смертной казни“, „Исторія одного преступленія“, „Труженики моря“, „Человѣкъ, который смѣется“, „Девяносто третій годъ“ и „Отверженные“).

- Эмиля Зола — 5 томовъ романовъ, повѣстей, рассказовъ и очерковъ.
- О. Бользана — 8 томовъ романовъ.
- Жоржъ Занда — 3 тома романовъ, повѣстей и рассказовъ.
- Ч. Дикенса — 7 томовъ романовъ, очерковъ и рассказовъ.
- Вальт. Скотта — 6 томовъ историческихъ романовъ.
- Бретъ-Гарта — 3 тома повѣстей и рассказовъ.
- Марка Твена — 3 тома повѣстей и рассказовъ.
- Шпильгагена — 7 томовъ романовъ и повѣстей.
- Т. Гопфмана — 2 тома сочиненій.
- Георга Эберса — 4 тома историческихъ романовъ.

48 томовъ произведений, не вошедшихъ въ 144 тома.

цѣна только по подпискѣ:

за 60 томовъ безъ доставки 15 р. съ доставкою въ С.-Петербургѣ и съ пересылкою въ другіе города 20 р. собраніе романы Виктора Гюго появится впервые въ такомъ общедоступномъ изданіи.

разсрочка допускается на слѣдующихъ основаніяхъ:

Подписчикамъ безъ доставки: при подпискѣ вносится въ задатокъ 3 руб., къ 15 Декабря 1898 г. вносится вторично 3 руб., а затѣмъ по 3 руб. къ 15 Марта, къ 15 Іюня и къ 15 Сентября 1899 г. Подписчикамъ съ доставкою: при подпискѣ вносится въ задатокъ 4 руб., къ 15 Декабря 1898 г. вносится вторично 4 р., а затѣмъ по 4 р. к. 15 Марта, къ 15 Іюня и къ 15 Сентября 1899 г.

Подписка принимается: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ журнала, Гостиный дв., Зеркальная л., № 63, магазинъ Пантелеева; въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линія, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Издатель Г. Θ. Пантелеевъ. Редакторъ С. С. Трубачевъ.

открыта подписка

## НА 72 КОЛЕНКОРОВЫЯ ТИСЕННЫЯ ЗОЛОТОМЪ КРЫШКИ

для переплетовъ 144 томовъ.

Цѣна за 72 крышки 14 р. 40 к. безъ пересылки. За пересылку по почтѣ за 22 фунта, по разстояніямъ; до станцій желѣзныхъ дорогъ, багажемъ, безъ различія разстоянія, 1 р.—Наложеннымъ платежомъ не высылаются.—Адресоваться въ Редакцію „Вѣстника Иностранной Литературы“, СПб., Верейская, 16. (6—у.—6)